# ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრი

## სეზონის გახსნა

**26 ოქტომბერს**

**რკინიგზელთა სახლში**

(პლეხანოვის 127)

მუსიკა — **შ. მილორავასი** ლიბრეტო — **ლ. ქუბაბრიასი**

## სიმღერა თბილისზე

ოპერეტა 3 მოქმედებად, 6 სურათად

**27 ოქტომბერს**

მუსიკა — **ი. მილიუტინის** ლიბრეტო — **ე. შატუნოვსკისა**

ქართული ტექსტი — **პ. გრუზინსკისა**

## ჩანიტას კოცნა

ოპერეტა 3 მოქმედებად

**28, 29, 30 ოქტომბერს სპექტაკლები გამოცხადებული იქნება ცალკე**

---

## თეატრი თავის 28-ე სეზონში

თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრის კოლექტივის წინაშე რთული და საპატიო ამოცანა დგას— მაღალიდეურ-მხატვრულ ფერებში ასახოს საბჭოთა ადამიანების სისხლჭარბი ცხოვრება, მათი გმირული შემართებანი, მიზნები და მისწრაფებანი.

ამ დიდი და საპატიო ამოცანის განხორციელებისაკენ იყო მიმართული განვლილ სეზონში თეატრის მთელი საქმიანობა. მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი შენობის უქონლობის გამო, სპექტაკლების ჩვენება გვიხდებოდა თბილისისა და მასთან ახლო მდებარე რაიონების სახახაობით დაწესებულებათა სცენებზე, ეს სიძნელეები თეატრის კოლექტივმა წარმატებით დასძლია.

გასულ სეზონში თეატრმა რამდენიმე ახალი დადგმა განახორციელა. ესენია: ი. მილიუტინის ცნობილი ოპერეტა „ჩანიტას კოცნა“ (ლიბრეტო — ე. შატუნოვსკის), ვ. ცაბაძის „შეუდარებელი სამეული“ (ლიბრეტო — ნ. ხუნწარიასი), ვ. ცაგარეიშვილის „მზის დაბნელება“ (ლიბრეტო—ბ. გამრეკელისა), რ. ლაღიძის „მეგობრები“ (ლიბრეტო—ლ. ქუბაბრიასი და რ. ებრალიძისა) და რ. გაჯიევის „რომეო, ჩემო მეზობელო“ (ლიბრეტო—ვ. ესმანის). ეს უკანასკნელი პირველად გასტროლების პერიოდში ზესტაფონში დაიდგა და ჯერჯერობით თბილისელ მაყურებლებს არ უნახავთ. მიმდინარე სეზონში პირველ პრემიერად სწორედ ეს სპექტაკლი იქნება ნაჩვენები.

მსგავსად წინა წლებისა, თეატრის ცხოვრებაში ერთ-ერთ დიდ მოვლენად უნდა ჩაითვალოს საზაფხულო გასტროლები, რომელიც ა/წ 14 მაისიდან 4 სექტემბრამდე ჩატარდა: ქუთაისში, ზესტაფონში, ტყიბულში, წყალტუბოში, თოთში, სამტრედიაში, მახარაძეში, ზუგდიდში და სხვა ქალაქებსა და რაიონებში. წარმოდგენები და კონცერტები გაიმართა აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებსა და მსხვილ საწარმოთა კულტურის სახლებში.

საგასტროლო წარმოდგენებს მაღალი შეფასება მისცა ადგილობრივმა პრესამ და საზოგადოებრიობამ.

თეატრი თავის მუშაობაში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს რეპერტუარის იდეურ-მხატვრული დონის ამაღლებას.

ამ მიზნით თეატრმა თავის ირგვლივ შემოიკრიბა კომპოზიტორთა და დრამა-